ოქმი:**ო08. 3723153001**
თარიღი:**02/06/2023**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 31 მაისი

ქ.ოზურგეთი

13.30 -14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. ურუშაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩა N8-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.46.033 - ს.კ.26.26.46.033.01.001; ს.კ. 26.26.46.033.01.002; ს.კ.26.26.46.033.01.502; ს.კ.26.26.46.033.01.503 და ს.კ.26.26.46.033.01.504;) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ.ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს/კ 26.26.46.132) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ.ბაქანიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებისა და სოფლების წყლით მომარაგების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ვ.კირკიტაძე

მომხსენებელმა, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების ორი პროექტი-

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩა N8-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.46.033 - ს.კ.26.26.46.033.01.001; ს.კ. 26.26.46.033.01.002; ს.კ.26.26.46.033.01.502; ს.კ.26.26.46.033.01.503 და ს.კ.26.26.46.033.01.504;) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს/კ 26.26.46.132) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“, უფრო კონკრეტულად პროექტებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებისა და სოფლების წყლით მომარაგების მდგომარეობის შესახებ“.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა რომ კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი ცნობილი უნდა იყოს მოწვევამდე 7 დღით ადრე.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებისა და სოფლების წყლით მომარაგების მდგომარეობის შესახებ“ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი